

ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახსა და მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე, მოქალაქე გიორგი დანგაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მოქალაქე გიორგი დანგაძის განცხადება /2012 წლის 16.05 Nდ-3902/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახებზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორი ოთახი და მეორე სართულზე მდებარე ერთი ოთახი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახსა და მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი დანგაძეს /პირადი N60001120993/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, კრილოვის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე მდებარე ორ ოთახსა და მეორე სართულზე მდებარე ერთ ოთახზე /საერთო ფართობი 50,60 კვ.მ, მათ შორის პირველი სართულის ფართობი 34,65 კვ.მ, მეორე სართულის ფართობი 15,95 კვ.მ./ მოქალაქე გიორგი დანგაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე